ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
№ 06.04.2016წ.

ერთის მხრივ **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“** (შემდგომში ''შემსყიდველი'') მისი დირექტორის იოსებ ოზაშვილის სახით და **შპს ''ადა''** (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, მეორეს მხრივ, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ''ს[1]'' ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება წინამდებარე ცხრილის მიხედვით:

№	საქონლის დასახელება	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1.	კლავიატურა + მაუსი ASUS 3000 Wireless keyboard+mouse black	30237460	1 ცალი	74.00	74.00
					ჯამი: 74.00

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. საქონლის ღირებულება შეადგენს 74.00 (სამოცდათოთხმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის გადაცემიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3. მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 02 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია „მიმწოდებლის“ მაღაზია მდებარე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №4.
3.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას საქონლის გადაცემისას შეადგინონ მიღება-ჩაბარების აქტი.

4. საქონლის ხარისხი

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
4.2. შესასყიდი საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. საქონელი ჩაითვლება უფლებრივად უნაკლოდ, თუ მასზე მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები მყიდველის წინააღმდეგ. ხოლო ნივთობრივად უნაკლო იქნება საქონელი, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ ხარისხსა და პირობებს და ვარგისია გამოყენებისათვის.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ გადასცემს საქონელს.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 10 მაისის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"	**შპს "ადა"**
მის: ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის 10	მის.: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. №4
ს/კ: 205140257	ს/კ: 405027830
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" –	ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" –
კოდი: TBCBGE22	კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175	ა/ა: GE82BG0000000626529900
იოსებ ოზაშვილი _____	გიორგი ღულუნიშვილი _____